



სან პეტროლიუმ ჯორჯია
Sun Petroleum Georgia

შემ. № 28 2018

ნ. ივანიშვილი
30/01/18

დირექტორი
გ. დევაძე

11.01.2018


162

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“

გენერალურ დირექტორს

გ. დევაძეს

ვინაიდან:



- 03.11.2017წ. N1/358 წერილით გამოხატეთ სურვილი, სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული, თქვენი კუთვნილი მიწისკვეთა კოლექტორი/ნავთობსადენის (შემდგომში „საინჟინრო კომუნიკაცია“) ლეგალიზებასთან დაკავშირებით.

- სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში „კომპანია“) 2017 წლის 21 დეკემბრის N7545 წერილის პასუხად, თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა საგადახდო დავალება, რომელიც ადასტურებს „მომსახურების საფასურისა“ და „ლეგალიზების საფასურის“ გადახდის ფაქტს.

- „კომპანიის“ ინფრასტრუქტურის ფილიალის მიერ შესაძლებლად იქნა მიჩნეული „საინჟინრო კომუნიკაციის“ ლეგალიზება და აღდგენა-შეკეთების სამუშაოების წარმოება (55536; 15.11.2017).

„კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 30 მარტის N12/15 დადგენილებით დამტკიცებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და მიწის ნაკვეთების მესამე პირების საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთის შესახებ ინსტრუქციისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 14 დეკემბრის N8/55 დადგენილების საფუძველზე გაცნობებით რომ:

- ქ. თბილისში, 01.11.04.026.054, 01.11.04.026.057, 01.11.04.026.082 და 01.11.04.026.083 საკ. კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების განსაზღვრულ ნაწილზე, კერძოდ, ავჭალა-დიდუბის გადასარბენზე კმ 2495+კვ7+45მ-ში, სარკინიგზო ლიანდაგის ქვეშ, უფლება გეძლევათ შენარჩუნებულ იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული „საინჟინრო კომუნიკაცია“ და ასევე უფლება გეძლევათ განახორციელოთ აღნიშნული „საინჟინრო კომუნიკაციის“ აღდგენა-შეკეთების სამუშაოები „კომპანიის“ მიერ შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის სრულ შესაბამისობაში.

- კერძოდ, საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი მოთხოვნები: დაცული უნდა იყოს წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული კონსტრუქციული და საპროექტო გადაწყვეტილებები, რომლის თანახმადაც ლიანდაგების ქვემოდან სამუშაოები განხორციელდება ე.წ. "დახურული" მეთოდით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა და არ შეიზღუდება მათი მიმოსვლა;

- "ღია" მეთოდით სამუშაოების წარმოებისას, რადგანაც ლიანდაგების გასწვრივ გაყვანილია რკინიგზის მიწისქვეშა კომუნიკაციები (ოპტიკურ-ბოჭკოვანი და სცბ კაბელები), დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლობას წარმოადგენს მათი ზუსტი მდებარეობის წინასწარ გადამოწმება და სამუშაოების წარმოებაზე რკინიგზიდან გამოყოფილი ადგილობრივი წარმომადგენლების დასწრება, რისთვისაც დაუკავშირდით მომსახურების და სერვისების განვითარების ცენტრის უფროსს კახა კასარელს (ტელ. 591190779). სამუშაოს შესრულებისას, დაინტერესებულმა პირმა თან უნდა იქონიოს შეთანხმების წერილი და პროექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მშენებელი სამუშაოს შესასრულებლად არ დაიშვება;

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, გადაკვეთის ტერიტორიაზე მდებარე, სს „საქართველოს რკინიგზის“ ან/და სხვა კომპანიის საკუთრებაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის, ინფრასტრუქტურის ან/და სხვა ქონების დაზიანების შემთხვევაში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ უნდა უზრუნველყოს დაზიანებული ინფრასტრუქტურის საკუთარი ხარჯით აღდგენა.

- სს „საქართველოს რკინიგზა“ თანახმა განახორციელოთ, ქ. თბილისში, 01.11.04.026.054, 01.11.04.026.057, 01.11.04.026.082 და 01.11.04.026.083 საკ. კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების განსაზღვრულ ნაწილზე, კერძოდ, ავჭალა-დიდუბის გადასარბენზე კმ 2495+პკ7+45მ-ში, სარკინიგზო ლიანდაგის ქვეშ განლაგებული, თქვენს საკუთრებაში არსებული „საინჟინრო კომუნიკაციის“ ხაზობრივ ნაგებობად რეგისტრაცია პროექტს თანდართული ნახაზის შესაბამისად.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია 1 (ერთი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ/ვერ უზრუნველყოფთ „საინჟინრო კომუნიკაციის“ აღდგენა-შეკეთების სამუშაოების განხორციელებასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას, თქვენ ვალდებულნი იქნებით იგივე პროცედურების და პირობების დაცვით უზრუნველყოთ „კომპანიასთან“ საინჟინრო კომუნიკაციის პროექტის შეთანხმება და ხაზობრივ ნაგებობად რეგისტრაციისათვის თანხმობის მოპოვება.

„საინჟინრო კომუნიკაციის“ აღდგენა-შეკეთებას სამუშაოების „კომპანიის“ მიერ შეთანხმებული „საპროექტო დოკუმენტაციით“ გათვალისწინებულისაგან განსხვავებულად წარმოების შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების გარეშე განახორციელოს „საინჟინრო კომუნიკაციის“ დემონტაჟი თქვენთვის ან/და საინჟინრო კომუნიკაციის მესაკუთრისათვის რაიმე სახის ზიანის

(პირდაპირი თუ არაპირდაპირი) ანაზღაურების ვალდებულების
(ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარეშე.

კონტროლის, მონიტორინგისა და ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსი
მ. ცაგარეიშვილი

